ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N882/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი **17.12.2020 წელი.**

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სანნა“, (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ნინო პაპასქირის სახით, ერთად წოდებულნი „მხარეებად“, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის, „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად: სათამაშოების CPV37520000 (თამაშები და სათამაშოები, ატრაქციონები CPV37500000) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება და მოცულობა

	შიდა კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	6024300	საშობაო სანტა თხილამურებით 41სმ. HERVARD ნაცრ. 8/1	1.00	32.95	32.95
2	6084800	საშობაო ირემი ციგით PAVO 34X65X125 სმ. 288 ნათურით თეთრი 1/1	2.00	160.95	321.90
3	6079400	საშობაო გირლანდა FENJA 28 სმ. განათებით მწვანე მეტ. 8/1	1.00	25.15	25.15
4	6085200	საშობაო ხე განათებით SANDROSE 180 სმ. 180 ნათურით შავი მეტ. 6/1	1.00	111.95	111.95
5	6074300	საშობაო განათება GUTTORM 970 სმ PVC 4/1	6.00	69.95	419.70
6	6081000	საშობაო განათება GUTTORM 1000 ნათურით მწვანე PVC 4/1	1.00	111.95	111.95
7	6090400	საშობაო ხე განათებით MORGANT 150 სმ. 280 ნათურით შავი მეტ. 2/1	1.00	111.95	111.95
8	6090000	საშობაო ხე განათებით AMETYST 51 სმ ოქროსფერი მეტ 6/1	1.00	27.95	27.95
9	6090500	საშობაო ხე განათებით MUSKOVIT 200 სმ 400 ნათურით შავი მეტ 2/1	1.00	181.95	181.95
სულ ფასი				*1345.45 ლარი*	

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1345.45 (ათასსამასორმოცდახუთი ლარი და 45 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს:

3.1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ი. ღარიბაშვილი.
3.2. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
3.3. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ხარისხის კონტროლს.
3.4. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
4.2. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).
4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტის და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N4.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

7. გარანტია

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, ხარისხობრივ მონაცემებს და პასუხობდეს ამ ტიპის საქონელზე არსებულ სტანდარტებს. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, შესაფერისი იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც ის არის გათვალისწინებული.
7.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის დანიშნულების ადგილზე მიწოდება დაზიანებისა და გაფუჭების გარეშე. შეფუთული საქონელი უნდა იყოს მდგრადი დეფორმაციის, ტრანსპორტირებისა და კლიმატური პირობების ცვალებადობებისადმი.
7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს დაზიანებული და გაფუჭებული საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის დაუყოვნებლივ გამოცვლა.
7.4. მხარეები თანხმდებიან, რომ შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს პროდუქცია მიწოდებისას, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ მიმწოდებელი უფლებამოსილია არ მიიღოს შემსყიდველის მხრიდან პროდუქციასთან დაკავშიორებით დაფიქსირებული შენიშვნები.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
8.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, „მხარეები იტოვებენ უფლებას

ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობთ ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;

ბ) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათალისწინებულ ვადებში მიწოდება

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12. ხელშეკურლების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.2. თუ მხარეები 10 (ათი) კალენარული დღის განმავლობაშუ ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდბლობით დადგენილ წესებს.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
14.2. მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.
14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური იფორმაცია.
14.1. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულების დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.
14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ზალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
14.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი – ი.ჭავჭავაძის გამზ #1
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
სახაზ. კოდი
სახელმწიფო ბიუჯეტი 32050402
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

მიმწოდებელი
შპს „სანნა“
მისამართი – აღმაშენებლის ხეივანი N10
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს თი-ბი-სი ბანკი
ანგ. NGE93TB7359636020100005
ბანკის კოდი TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 404508154

შპს „სანნა“-ს დირექტორის მინდობილი პირი

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2020.12.17 15:18:24 +04'00'

_____
/ნ. პაპასქირი/

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2020 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სათამაშოების CPV37520000 (თამაშები და სათამაშოები, ატრაქციონები CPV37500000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში შპს „სანნა"-სთან მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირაკლი საღარეიშვილი

დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო დეპარტამენტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

ანეტა მერკვილიშვილი

განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
შესყიდვების განყოფილება

დინარა ტიკარაძე

მთავარი სპეციალისტი
შესყიდვების განყოფილება